



**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**ქ. თელავი**

N 2  
25/01/2019

2-09-4-201901251946



**თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი**

**ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის**

**გაზრდის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 156-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა გაიზარდოს მუნიციპალიტეტში საჯარო მოსამსახურეთა მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 17%-მდე.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

გიგა ორკოდაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

